პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

№ 107 | კვირა, 3 ივლისი 1927 წ. | № 107




— რაშია საქმე, კაცო,—რომ ყოველ კვირაში ახალ-ახალ ხალათებს იკერავ სულ სხვადასხვა ფერისას?
— ხალათი ერთი მაქვს, ძმაო, მაგრამ ყოველ გარეცხისას ფერს იცვლის.
— ჰოო! ალბად ფასდაკლებული საქონელია.

[library stamp]

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პასუხი ჩემბერლენს

ზარ ილუს, ოსტინ ჩემბერლენ
ფახაცეს შენი ნოტები;
ჯერ კიდევ ბევრსა გვაცვია
ეს შენი კოვერკოტები.
ამ ბოლოს როგორც გავიგეთ
ომის სურვილი გქონია;
მობრძანდი, შენზე ნაკლები
ახპერ, ნურავინ გგონია.
მანდ ჩვენი ნოე ორია
და მოიხმარე „დელოზე“.
თუ მოხვალთ, ერთად წამოდი
სუყველამ საქართველოზე.
ჩემბერლენ, შენ ხომ ძველი ხარ,
გოგრა სავსე გაქვს „მოზგითა“;
უფრთხილდი—არ გაილახო,
სხვას რომ სცემ იმავ „როზგითა“.
ომს კარგად ახედ-დახედე,
და არ დაგირჩეს გვიანი;
მთავარ სარდალად დანიშნე
შენი პირის-მზე ბრიანი.
მანდ ბევრი ჩვენებური გყავს,
უკან მლოკავი, ლაქუცა;
აქ ჩვენთან „ჩეკა“ ნატრულობს,—
წამოიყვანე ქაქუცა.
ჩქარა წამოდი, სუფსაში
მოსჩანს ნავთისა ფანტანი;
გემები წამოიყვანე
მისი აქედან გამტანი.
არ დაგვიტოვო „ვალოდი“—
ბრონე-„პოეზდის“ გმირია;
წამოიყვანე სუყველა
ცხენი, ჯორი და ვირია.
აქ მღვდლები ყველა გაკრიჭეს,
აღარც სომხებს ჰყავს „ტერტერა“;
კომუნისტები ოსტინ ჯან,
შენს მტრებს გადაემტერა.
წამოიყვანე მრავალი
სასულიერო მამები;
შენ მარტო გზის ფულს თუ მისცემ
აქ მრავალია „დრამები“.
თეთრ გვარდიელებს ნუ დასტოვ,
არიან დიდი „ნამარხვი“;
„ოსტინჯან“ მათთვის მზად არის
სხვადასხვა ზომის სამარხი
ყველა შენ გიცქერს, ოსტინჯახ,
შენზე სწერს ბევრი კალამი;
მაშ გელით, დიდო რაინდო,
ჩემგან დაბალი სალამი.

**ძნელ-ოღლი.**

## ფაფხური

სურ. დონის.



— „ცეცხლით და მახვილით“.

# ახალი გამგე

იმ დაწესებულების გამგე, რომლის შესახებ ახლა მოგახსენებთ, გადაიყვანეს და უფრო დიდი ადგილი მისცენ.

დაწესებულების თანამშრომლებში ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა და მღელვარება გამოიწვია: ხან რას ლაპარაკობდენ, ხან რას.

მართალია: გამგე არ იყო მაინცადამაინც გულმოწყალე, მაგრამ როგორც იტყვიან, შეჩვეული ჭირი ერჩივნათ.

დაწესებულებაში სრული გამოურკვევლობა სუფევდა: არავინ იცოდა როგორი იქნებოდა მომავალი გამგე. ყველას საქმის მწარმოებლისკენ ეჭირა თვალი, ყველას მისი იმედი ქონდა, რადგანაც საქმისმწარმოებელი ვალიკო ყველაფრის მცოდნე კაცი იყო;

მას ყველა იცნობდა ძაღლიან-კატიანა.

— ვინ იქნება თუ იცი ახალი გამგე?—ცნობის მოყვარეობით ეკითხებოდენ მას.

— რა ვიცი შე კაცო, გულთმისანი ხომ არა ვარ?!—უპასუხებდა ვალიკო და ეშმაკურად ჩაიცინებდა.

ბოლოს, ერთ დღეს დაადგა საშველი და დანიშნეს ახალი გამგე. გამოირკვა სახელიც, გვარიც; ყველა ვალიკოს მიესია.

— ვალიკო, იცი ვინ დანიშნეს?

— ვიცი, პირველად ხომ არ მესმის, კარგი ხანია რაც გავიგე.

— თუ იცოდი, რატომ არ თქვი?!

— შე კაცო, რაც ვიცი ყველაფერი უნდა ვთქვა?

— რამდენი წლისაა?

— ოცდა ათის.

— ლამაზია?—იკითხა მემანქანე ქალმა და სარკეში ჩაიხედა.

— კარგად იცვამს?—იკითხა მოლარემ.

— სრულებით უბრალოდ.

— ქეიფი უყვარს?—დაინტერესდა „ზავხოზი“.

— ერთ წვეთს არ სვამს.

— მომჭირნე კაცია?—ბუხგალტერმა.

— კაპიკს კაპიკზე აშენებს.

— ძიწერ-ძოწერა უყვარს?—საქმეთა-მმართველმა.

— ქალალდს დასანახავად ვერ იტანს.

— საერთოდ ესმის რამე?—ახლოს მოიწია სპეცმა.

— ყოველ საკითხში გარკვეულია.

— სასუფთაოეს როგორ უყურებს ნეტა?—გაუბედავად სთქვა დამგველმა.

— ძაფი რომ დავარდეს, ერთი ღერი თმა რომ იატაკზე დაგივარდეს, თვალს მოკრავს და... მშვიდობით.

— სისწრაფე თუ უყვარს?—იკითხა შიკრიკმა.

— არაჩვეულებრივად: სიარულს ვერ ინელებს,—უნდა ირბინოს. წერილი რომ გაგატანოს, ორ წუთში პასუხით უნდა მოხვიდე. ზარის დაწკარუნება დათავებული არ უნდა ქონდეს, რომ იქავე უნდა გაჩნდე.

— შეკამათებას თუ ითმენს?—ჩაერია იურის კონსულტი.

— ღვთისწყალობას არ მოგითმენს, რომ გითხრას: ეს შოლარე მოლარე კი არა, შახმატის პეშკააო, უნდა დაეთანხმო. ერთი სიტყვის შებრუნება უდრის ერთი ხარისხის დაკლებას. ასე რომ,—მეშვიდე ხარისხის თანამშრომელმა ექვსჯერ სიტყვა რომ შეუბრუნოს, ხელათ პირველ ხარისხზე დავა. მერე კი, ერთი უდროო დროს რომ ცხვირს დააცემინებს, მორჩა... აიკარ ბარგი.

— მუშაობა თუ უყვარს?—შეეკითხა მოანგარიშე.

— დილიდან სალამომდე. სხვებიდანაც ასე მოითხოვს.

— შტატის შემცირება?—გაბედა მოანგარიშის უნცროსმა თანაშემწემ.

— ო-ო! ამ მხრივ ნამდვილი ინსპექციაა. შტატი—მცირე, ჯამაგირი—ნაკლები, მუშაობა—ბევრი.

— რა სოციალური შემადგენლობისაა?—ითავა ადგილკომმა.

— მამა ყავდა პროლეტარი; დედა—ბოგანო გლეხის შვილი; ბაბუები მოჯამაგირეობით ცხოვრობდენ, ბებიები—ხელსაქმით; სიმამრს გახვრეტილი გროში არ მოეპოება; სიდედრი ქარხანაში მუშაობს. ცოლის ძმები რკინისგზელები არიან, ცოლის დები—ორმოც-სამოცი წლის დაუთხოვარი ქალებია; უმზითვოდ არავინ წაიყვანა, მზითვი კი არ აქვთ. ასე რომ სოციალური მდგომარეობით პრიზს მიიღებს.

— ფიცხია?—ჩაიდუდუნა არქივარიუსმა.

— თოფის წამალია.

— საიდან იცი ყველაფერი?—შეეკითხა სტატისტიკოსი.

— ვიცნობ, შე კაცო, ჩემი ახლობელია.

— ბედნიერი!..—გაიფიქრა ყველამ.

**გამგე მოვიდა.** სალამოსთვის საერთო კრება მოიწვია. დაფაცურდა ყველა. შეიქნა ერთი მზადება.

— რა ვქნა, რომელი კაბა ჩავიცვა?—ეკითხებოდა მემანქანე რეგისტრატორს.

— თეთრი.

— კი მაგრამ თეთრგვარდიელთა თანამგრძნობი რომ ვეგონო?

— აბა, შავი იყოს!

— ვაი თუ ეწყინა, ჩემს მოსვლაზე შავები ჩაუცვამსო.

— არ ვიცი, წვერი გავიპარსო თუ არა,—ეუბნებოდა მოლარე ვალიკოს.

— გაიპარსე.

— ვაი თუ პრანჭიაობა დამწამა!

— მაშ ნუ იპარსავ.

— კაცო, რალა გუშინ დამირჩა ეს ოხერი თავი გაპარსული.—წყენით ამბობდა ბუხგალტერი.—ვაი თუ ეწყინოს.

— რატომ შე კაცო?

— რა ვიცი იქნებ იფიქროს განგებ მოუპარსავსო.

— სისულელეა,—ამშვიდებს ვალიკო.

— კაცო, რა ღმერთი გამიწყრა,—ჩიოდა საქმეთა მმართველი, ბლუზა გასარეცხად მივეცი და იძულებული ვარ კოსტიუმით მოვიდე კრებაზე.

— მერე რა უჭირს?

— რა ვიცი, კოსტიუმში იქნებ ბურჟუაზიული პროდუქტი ვეგონო.

— პროდუქტი არა, ოხრახუში არ გინდა... რა დროს პროდუქტია კაცო, კაცი პირველად მოდის. მე მაინც ვეტყვი, ნუ გეშინია.

— რალა დღეს მოვიდა ეგ ოჯახაშენებული?—სწუხდეს შიკრიკი და დამგველი.—ძლივს უფასო კინოს ბილეთი გველირსა, ახლა ხომ ველარ წავალთ კინოში...

### კრება გაიხსნა

გამგე მეტად კეთილი კაცი ჩანდა. მხიარულად საუბრობდა. ყველას ხელი ჩამოართვა, გაუღიმა, თავმჯდომარეთ დალგა და მოკლე სიტყვა წარმოსთქვა.

— მაშ ასე ამხანაგებო, ხვალ შეუდგებით მუშაობას.—ამბობდა იგი.

— დილიდან—სალამომდე,—გაიფიქრეს გულში თანამშრომლებმა.

— განსაკუთრებით უნდა ვებრძოლოთ ბიუროკრატიზმს,—განაგრძო მან.

— დაუძლუპე... დამითხოვს...—ჩუმად დაიკვნესა საქმეთა მართველმა.

— ... და ხელგაშლილობას.

— გათავდა ჩემი საქმე!—ჩაიდუდუნა „ზავხოზმა".

— სასტიკი ომი გაფლანგვას!

— მაშ ციხე და ჩემი ჯანი,—ამოიოხრა მოლარემ.

— პირველი საქმეა ანგარიშიანობა.

— მშვიდობით ბუღალტერიავ...—გაიფიქრა ბუხგალტერმა.

— და სისწრაფე!

— რა ადგილი მეკარგება?!—ამოიხვნეშა შიკრიკმა.

— ნაკლები ლაპარაკი, მეტი საქმე...

— ქე მაინც შვებულების აღება დამესწრო!—გაუელვა თავში იურის კონსულტს.

— საქმის წარმოება არ გვივარგა.

— მაშ ხვალ ჩემით მივცემ განცხადებას, რომ დამათხოვოს,—გაიფიქრა საქმისმწარმოებელმა ვალიკომ, რომელიც შორი-ახლოს იცნობდა ახალ გამგეს.

**კრება გათავდა.** წავიდ-წამოვიდენ, მაგრამ ძილი, ან მოსვენება?!.

საქმეთა მართველმა მთელი ლამე თეთრათ გაათენა, საქმის მწარმოებელი ვალიკო დათხოვნის შიშით ლამით ბორგავდა და სიკვდილს ნატრობდა; მოლარეს გააცია; „ზავხოზს" გააცხელა. ბუღალტერს ყელი ასტკივდა; იურისკონსულტს აპენდიციტი მოუვიდა; მოანგარიშე და მისი თანაშემწე ლოგინად ჩავარდენ; მემანქანე და რეგისტრატორი მთელი ლამე კოშმარულ სიზმრებში იყვნენ.

რამოდენიმე ხნის შემდეგ, როცა გამგე ყველას შეეჩვია, ვალიკომ მას უამბო მისი მოსვლის პირველი დღეების ამბავი.

— ვიდვიძეენცი გვეგონე, შენ ნუ მომიკვდები, ისე შეგვავიწროვე ეს ინტელიგენტები შენი მომჭირნეობის გეგმებით; შენ კი ჩვენი კაცი ყოფილხარ!—ეუბნებოდა მას ვალიკო და საშუფო სოფლიდან ნაჩუქარ ყანწიდან ღვინოს აძლევდა.

**ტერსიტი.**





**მოქალაქე** („ზაკპოგრუზ“-ის ინვენტარს): საიდანმოდიხართ და სად მიდიხართ? რა დაგემართათ? როგორ დამტვრეულხართ და დაზიანებულხართ!?

**ინვენტარი** (მომაკვდავის ხმით): ეჰ! ჩემო კარგო. განა ჩვენ ვიცით საიდან და სად მივდივართ?! მთელი ჩვენი სიცოცხლე გადასვლა-გადმოსვლაში გაგვიტარებია. როგორც კატა თავის კნუტს,—ჩვენც ისე გვათრევენ იქით-აქეთ. ჩვენ არ ვიცით რა არის მუდმივი ბინა. დღეს აქ ვართ, ხვალ იქა... გვათრევენ წარა-მარა და წაღმა-უკუღმა. ჩვენც დავიმტვერით და გავთავდით...

---

# „გასეირნება“

მოსაღამურდება თუ არა ჩემი ქალბატონი სამსახურში მომაკითხავს და შემომიჩდება:—გინდა თუ არა, უნდა გავისეირნოთო. მე ხან სამსახურს ვიგონებ, ხან კიდევ საწერს; ხან რასა და ხან რას,—მაგრამ ვერაფერს ვხდები; ბოლოს ავდგებით, ჩამომეკიდება ისიც კლავზე ძველი ტომარივით და დავყიალებთ ქუჩაში აღმა-დაღმა.

რამდენეთათ უბედურნი არიან თბილისის მცხოვრებლები ზაგესის სინათლით, იმდენეთად ბედნიერები ვართ ჩვენ პატომლები ჩვენი სიბნელით. რა გინდა კაცმა აქ არ ქნა ქუჩაში. ნიშნობა, ჯვარის წერა, მოლაპარაკება; და ქორწილიც აქ ქუჩაში ხდება. ერთ ღამეს შეგიძლიათ ათზე დაქორწინდეთ და ოცზე განქორწინდეთ.

ახალ ჯვარდაწერილებიც წყვილად დასეირნობენ მოსახვევებში, ზოგიერთები განქორწილების შემდეგ ეთხოვებიან ერთმანეთს, ტუჩებზე კოცნით, ზოგს ეტლით მიჰყავს პატარძალი ოთახში, ზოგი პატარძალს მიყვება ოთახში და სხ. ეს ყველაფერი ხდება უზაქსოთ და დაუნახავათ.

---

იმას მოგახსენებდით: მე და ჩემ ცოლს არც ერთი მიზანი არ გვქონია. დავდიოდით ამ ქუჩებში და თვალს ვადევნებდით სხვის ბედნიერებას. ბევრი ვიარეთ, თუ ცოტა,—ეს აღარ მახსოვს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ძალზე მოვიღალე და კლავზე ჩამოკიდებულ ცოლს უარი უთხარი ჩემი კლავის დათმობაზე.

— ერთი სხვა ქალი ვიყო, მაშინ თვითონ გამიყრიდი და მთელ ღამეს მატარებდი—წყენით მითხრა ცოლმა და გულმოსულმა გვერდზე გამომყვა.

— ჩანდაბას შენი თავი!—ჩავილაპარაკე მე და უკან გავყევი.

— ბიჭო, ეტყობა ვერ მორიგდნენ!—ჩაილაპარაკა ვიღაც ორმა და ჩემ წინ სწრაფად წავიდნენ. მათთვის მე ყურადღება არ მიმიქცევია და არც მათ ლაპარაკის შინაარსს დავკვირვებივარ.

— ვაიმე მიშველეთ!—ჰყვიროდა ბნელაში ვიღაცა. მე ავჩქარდი და დავინახე რომ ჩემ ცოლისათვის აქეთიქედან ისე გამოეყარათ ხელი მკლავებში, რომ ცეცხლის მქრობელ რაზმს არ შეეძლო მათი მოცილება.

— აი, თუ მეშველოს და მომაცილონ!—ვიფიქრე მე, მაგრამ როცა მომაგონდა ქმარის მოვალეობა, მივირბინე მათთან და შევყვირე:

— ეი თქვე მხეცებო, რას შვებით? ეს ქალი ჩემია!—

— ვიცნობთ რა შენიცაა; წუხელის თუ შენი იყო, ამაღამ ჩვენია! მაგრად შემომიყვირეს.

— მე მაგისი ვარ მაგისი!—წრიპინებდა ჩემი ქალბატონი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იწევდა ჩემსკენ.

ვერავითარმა საბუთმა, ვერავითარმა ხვეწნამ ვერ გასჭრა, და საჭირო შეიქნა გარეშე ძალის დახმარება.

რაღაცა იღბლად ჯიბეში გასაღები დამირჩა, ამოვიღე და რაც ძალი და ღონე ქონდა დავაფსვიტინე, ბათომის მილიციას სხვა არ ეხმარება, თორემ ის ყველას დამხმარეა, და იმ წუთშივე იქ გაჩნდა. დაიწყო საქმის გარჩევა. ის ორი ამტკიცებდა, რომ ქალი ჩემი არ იყო; მე კი ვამბობდი, რომ ჩემია, ქალიც ჩემზე უთითებდა, მილიციამ რა თქმა უნდა, მხედველობაში მიიღო ქალის განცხადება და მე გადმომცა; ისინი კი კომისარიატში მიაბრძანა.

— სულ შენი ბრალია!—მეუბნებოდა ცოლი!— ორივე რომ ერთად ვყოფილიყავით, ის ხულიგნები ვერაფერს გამიბედავდენ. აწი ისწავლე მაინც ჭკუა; ხელი არ მომაშორო, თორემ თუ კიდევ განმეორდა ასეთი შემთხვევა,—იცოდე რამდენი ხულიგანიც არ უნდა დამხვდეს ქუჩაში, კრინტსაც არ დავსძრავ, ენასაც არ ამოვიღებ და საშველად არ დაგიძახებ, დიახ! ასე ვიზამ, და იგი შენ მერე!—მემუქრებოდა ცოლი.

— იგი შენ, თორემ მე რა!.. ახლაც შეგიძლია მასე მოიქცე!—ვუთხარი წყენით და სწრაფად ხელი დავაძრე მკლავიდან. მინამ ის ხელს მტაცებდა, მე უკვე გავუსხლტდი და ქუჩის მეორე მხარეზე გადავედი. იქ კი მოსახვევში გავედი... დაა დავითესე..

ღამის ორ საათზე დაბრუნდა ჩემი ცოლი. ეტყობოდა—ძალიან დაქანცულიყო. სასტუმალს დაწვა და დაწოლისას ჩაილაპარკა:

— კი ხარ ფხიკიანი, მარა;—იგი შენ!.

ვ. ოზოლი.

# კᲝᲜᲓᲠᲐᲑᲐᲜᲓᲘᲡᲢᲔᲑᲘ

**მომქმედი პირნი:**

**ხაიმო**—კონდრაბადისტი.

**ყობო**—იგივე.

**გერმანე**—მემუხრუჭე, რომელიც ეზიდება ებრაელების კონდრაბადს.

**ჩეკისტი**—

**სცენა ბათომის სახალხო სადგურში**

**ხაიმო** (ყობოს): ვადაი, ჩვენი გერმანე ჩამომსევდა საფოსტოთი და ასე მითომარა: თუ რამე გიეშათ ტავარნი სტანციაში მომისეჟეთო; ვაგონში გელოდებიო ისე იცოცხლე.

**ყობო..** მერე აქანე დგახაარ! დოუჩქაროთ ვადაი, თვარა გერმანეს ეწყინება თუ დაგვაგვიანდა. (ჩეკისტი შორე-ახლო დგას და ისმენს მათ ნალაპარაკებს).

**ხაიმო** (მოჰკრავს თვალს და შეშინებული ჩუმად ყობოს): ეს ეშმაკის კერძი აგერ რომ მდგარა, ვერ შეამჩნიეეე?!

**ყობო:** ტანზე არაფერი მეტყობა ხელშიც არაფერი მაქვს. რომელი ზაკონის კანონით შეუძლია დაგვიჭიროს ვადაი?!

**ხაიმო:** წამოდი, ალარ მოდიხარ?

(მიადგებიან გერმანეს ვაგონს). გერმანე, ვაგონში ხარ?

**სცენა ვაგონში**

**გერმანე:** სადა ხართ? რათ დაიგვიანეთ?

**ყობო:** ტაენი აგენტი აგვედევნა და სანამ არ დავთესეთ, შეგვეშინდა შენთან მოსვლა, ისე იცოცხლე.

**გერმანე:** ჩქარა მომეცით რაც გაქვთ, თვარა აწი ნასტავს ჩააყენებენ და შენახვას ველარ მოვასწრებ.

**ხაიმო:** ეხლავე შენი ჭირიმე. (იძრობენ ტანიდან შევიოტებს და აძლევენ. გერმანე ინახავს თავის კუპეში; გარედან ბოქლომს ადებს).

**გერმანე:** აბა, წადით ეხლა და ბილეთები აიღეთ.

**ყობო:** ისემც მიუხვალ ცოლ-შვილს შვიდობით,—თვალი გეჭიროს—არავინ შეგიძვრეს კუპეში და არ გაგითაოს. პროცენტიანი ფულით გვაქვს ნაყიდი. იქნებ ორი გროში მოვაგდებიოთ.

**გერმანე:** მაგის ჯავრი ნუ გაქვთ თქვენ, ოღონდ წასალები ფული იქონიეთ გზათ.

**ხაიმო:** მაგაზე კითხვა გინდააა...

(შემოდის ჩეკისტი და იწყებს შინჯვას, ხაიმოს და ყობოს ჩეკისტის დანახვაზე ფერი ეცვლებათ და დაიწყებენ კანკალს).

**ხაიმო.** (ყობოს): რავა აკანკალდი შე უბედურო?! ჩეკისტის დანახვამ შეგაშინააა?!

**ყობო:** ვარდის ფერი არც შენ გადევს ვადაი.

**ჩეკისტი.** (ამათს): აბა, მაჩვენეთ თქვენი „ვეში“,—უნდა გავშინჯო. სად არის?

**ყობო:** ზრასტი, გამარჯობა! ჩვენმა ისხაკამ მითხრა შენზე—ერთი ჩინი მოუმატესო; მრთალიაა?

**ხაიმო:** მეც გევიგე და ძალიანაც გამეხარდა ისე იცოცხლე.

**ჩეკისტი:** არაფრად გაინტერესებთ თქვენ ჩემი ჩინის მომატება; თქვენ უფრო სხვა ცხელება გაქვთ ტანში შემდგარი და სანამ ანთებას მოგცემდეთ, გირჩევთ: რაც რამე გაქვთ კონდრაბანდი უთქმელად ჩამაბაროთ, თორემ, ხომ იცით, მე მაინც ვნახავ და შემდეგ კი გლახათ წაგივათ საქმე.

**ხაიმო:** რაიო? კონდრაბანდიო? რავა გეკადრება ბატონო ჩვენ და კონდრაბანდი ვის გაუგონია ვადაი.

**ყობო.** (აპირებს მეორე ვაგონში გასვლას):

**ჩეკისტი.** (შეამჩნევს): აქ მოდი ჩქარა! საით აპირებდი გაპარვას?

**ყობო:** არაფერი, ისე ცოტა მუცელი ამტკივდა და „უბორნიაში“ მინდოდა შესვლა.

**ჩეკისტი.** (გერმანეს): ამათ შენთვის კონდრაბანდი ხომ არ მოუბარებიათ?

**გერმანე:** იმე, რავა გეკადრება, ბატონო! ორი შვილი მყავს და ისინი დამეწვას დულარეში, თუ მაგენს ჩემთვის რამე მეებარებიოს. აგერ 25 წელიწადია რკინის-გზაში ვმსახურობ და ამ ხნის განმავლობაში, ერთი „ზამეჩენია“ არ მქონია მიღებული და ეხლა კონდრაბადში რავა გევისვრიდი ხელს.

**ჩეკისტი:** აბა გაალე შენი კუპე და მაშინ გევიგეფ შენ სიმართლეს. გერმანე (აღებს კუპეს და ჩეკისტი იწყებს ჩხრეკას).

**ხაიმო** (ყობოს შეშინებული): არ დევიღუპეეთ! ყველაფერი უნახა რჯულის მადლმა.

**ყობო:** თელეხ მეორე ვაგონში, თვარა ჩეკისტი ჩვენზე პადაზრენიეს ეიღებს და ნაოზახში დაგვამწყვდევს ვადაი (აპირებენ გასვლას, მაგრამ).

**ჩეკისტი** (უყურებს):მანდ დადექით; ადგილიდან არ დაიძრეთ!

**ჩეკისტი** (გერმანეს) აკი ამბობდი:—არაფერი მაქვსო?! მაშ საიდან გაჩნდა შენ კუპეში ეს შევიოტები?

**გერმანე:** რაღა დაგიმალო,—ეს საქონელი ამგენმა მომაბარეს, მარა ამ მატარებლის წერა გავხდე, თუ მცოდნოდეს რომ შიგ კანდრაბადი იყო.

**ჩეკისტი:** (სამივეს) აბა დაიწყვეთ ხელზე და გამიძეხით წინ (მიიყვანს სამორიგეო ოთახში. შეუყენებს სამივეს ოქმს და შემდეგ ჩაამწყვდევს სარდაფში).

**სცენა სარდაფში**

**ხაიმო** (გერმანეს): შე ულმერთო, თუ უკეთესი ადგილი არ გქონდა შესანახი, რაღას გამოგვჭერი ყელი?!

**ყობო:** რიჟინაშვილიდან მქონდა ნასესხები ოცი თუმანი; თუმანი მანეთ ნახევრად თვეში. ეხლა რაღათი გევისტუმრო?! ვაიმე, ვაიმე!!!

**ხაიმო** (ყობოს): შე უბედურო, ვალი გახსოობს, თუ სამი მეგლენი რომ მოგივა ვადაი?!

**გერმანე:** თქვე გასაწყვეტლებო, თქვენ შტრაფს და ვალს ჩივით,—და მე ქე ამომაგდეთ კაკალი კაცი; თქვენი ჭუჭყიანი საქონელით სამსახურს უნდა გამოვესალმო.

**კირილე საფიჩხიელი.**



**ქმარი:** ამ ბოლო ხანებში შენ რაღაც ჩემს მიმართ ძალიან გულცივი ხარ!

**ცოლი:** ეს იმიტომ, რომ ყოველდღიურად პორციონაყინს გეახლები.

# ტკბილი სიზმარი

სურათი დონისა



ქმარი: გავკეთდი კაცი,—ორი ოთახი ვიშოვე!
ცოლი: მართლაა?.. სად?
ქმარი: წუხელის სიზმარში!

# მტკვარში ბანაობა

ტარტაროზის მკითხველებს და ზოგ არა მკითხველსაც (თუ კი ასეთი მოიპოება ჩვენს პატარა საქართველოში) კარგად მოეხსენება, რომ მტკვარში ყოველ წლიურად იხრჩობა რამოდენიმე ასი მოქალაქე. აქედან საგრძნობი რიცხვი მოდის ქ. ტფილისზე, რადგანაც, როგორც უკანასკნელ აღწერიდან ირკვევა, ტფილისში საკმაოდ ბევრი მცხოვრებია, რომელთაგან მცირე ნაწილი მტკვარში ბანაობს და ამ ნაწილიდან იხრჩობა კიდეც.

შესაფერმა ორგანოებმა არ აკრძალეს მტკვარში ბანაობა (რასაც ხშირად მსხვერპლი მოსდევს), მიუხედავათ იმისა,რომ ამ ორგანოთა ხელმძღვანელნი პრინციპიალურად წინაალმდეგი არიან არა თუ მტკვარში ბანაობის, არამედ დახრჩობისაც.

პირადათ ჩვენთვის გაურკვეველი იყო: საჭიროა თუ არა აიკრძალოს მტკვარში ბანაობა, ან დახრჩობა. დიაღ, გაურკვეველი იყო მანამ, სანამ ხელში ჩაგვივარდებოდა ერთი ძლიერი არგუმენტი, რომელიც სასტიკად ილაშქრებს მტკვარში ბანაობის წინაალმდეგ... ამ არგუმენტის შემდეგ ჩვენც კატეგორიულად მოვითხოვეთ აკრძალულ იქნას მტკვარში ყოველგვარი დახრჩობა.

საქმე შემდეგშია: ორიოდე დღის წინად ჩვენ ხელში ჩაგვივარდა დოკუმენტი, რომელიც დახრჩობის შემდეგ მტკვარში დამხრჩვალს გამოუგზავნია საიქიოდან; (სანამდე მიდის მეცნიერება და ტეხნიკა) აი, ეს დოკუმენტიც:

„ამ წერილს სწერს კაცი, რომელმაც უკვე იგემა სამიოდე ვედრო მტკვრის წყალი... ხოლო თქვენ იცით, რომ რაც უნდა დიდი მსმელი იყოს ტფილისელი მოქალაქე, ერთ ვედროზე მეტს ვერ დალევს. ამიტომაც იყო, რომ სამმა ვედრო მტკვრის წყალმა თავისი გაიტანა და თქვენმა უმორჩილესმა მონამ საიქიოს ამოყო თავი, სადაც არც სამოთხეა, არც ჯოჯოხეთი, არც კარგი, არც ავი. არის მხოლოდ არარაობა. მიუხედავათ ამისა, მე მაინც მოვახერხე და ვიშოვე საწერ-კალამი და ქაღალდი, რომ მეთქვა ჩემი გულის ნადები...

„ალბათ თქვენ გულში, ან ულვაშებში (თუ ასეთი მოგეპოებათ) ჩაიცინებთ:—ეს კაცი გაგიჟებულა! რა დროს წერილებია! დამხრჩვალმა კაცმა ქაღალდებს, მიწერ-მოწერას და ვოლოკიტას რატომ ველარ დაანება თავიო!—მაგრამ თქვენ რომ ჩემს ადგილას იყოთ, ალბათ თქვენც ასე მოიქცეოდით.

მოქალაქენო! ალბათ ყოველ თქვენგანს გამოუცდია, თუ რა არის დახრჩობა წყალში. თუ არ გამოგიცდიათ, ესწრაფეთ და გამოსცადეთ, თორემ თქვენ სანახევროდაც ვერ გაიგებთ ცხოვრების უკულმართობის ერთ დიდ მნიშვნელოვან ფაქტორს—დახრჩობის მნიშვნელობას. განსაკუთრებით მწვავეა დამხრჩვალი კაცის შეგრძნობა მაშინ, როცა მას (დახრჩობამდე) რაიმე საიმედო პერსპექტიული გეგმები ეშლებოდა წინ... ასე ვიყავი მე თითონ.

მე ვიყავ კაცი, რომელიც, ის ის იყო დავდექ საბჭოთა პლატფორმაზე, გადავიხადე უმუშევრობის შესრულების 5 წლის თავი და ველოდი სამსახურის მიღებას ერთ-ერთ შრომის კოლექტივში, რომელსაც, როგორც ამბობდენ, აარსებდა ჩვენი შრომის კომისარიატი, რომ.. უცებ, როგორც იტყვიან „ნი სტავო ნი სჩევო“—დავიხრჩვი.

აი ტრაღედია, რომელსაც ვერ დადგამს ვერც „დურუჯის“ და ვერც თვით მეიერხოლდის თეატრი...

შედიოდა თუ არა დახრჩობა ჩემს პერსპექტიულ გეგმაში?—რასაკვირველია, არა.

მაშ რატომ მოხდა, რომ მე გეგმას გადაუხვიე და სრულებით ახალი მუხლი შევიტანე შიგ, რომელიც სავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბავშვი: ძია, როდის წახვალთ სახლში?
სტუმარი: რატომ კითხულობ გოგონა?
ბავშვი: იმიტომ, რომ მე მშია; მამამ კი სთქვა:—სანამ სტუმარი არ წავა, სუფრა არ გაშალოთო.

---

სებით ანადგურებს ყოველგვარ პერსპექტიულ გეგმას?—ეს მოხდა სრულებით შემთხვევით, ყოველგვარ გეგმის გარეშე:

ერთ დღეს (არ შეიძლება მას მშვენიერი დღე უწოდო) მე ჩაველი მტკვრის პირას, სადაც საკმაოდ ბევრი ბანაობდა. შემიჯდა ეშმაკი და მეუბნება:

— მოდი შენც იბანავე!

— არ შემიძლია; მეშინია,—თანაც ცივია წყალი!—

— რის გეშინია?! რა ცივია! ამ სიცხეში გაგრილდები!—ჩამომძახა მან.

— თუნდაც ეგრე იყოს, ბინძური წყალია მთელი ქალაქის ნაგავი შიგ ჰყრია!—შევეკამათე კიდევ.

— შე კაი კაცო, თუ ამდენი ხალხი იბანს და არ ისვრება, შენ რა ჭრელი კოჭი ხარ!—დაბეჯითებით მითხრა მაცდურმა.

— სუფთაც რომ იყოს ცურვა არ ვიცი და შეიძლება დამახრჩოს, ხომ ხედავ რამოდენა წყალია...

— პუსტიაკი საქმეა,—დაიჟინა ეშმაკმა,—რა დაგახრჩობს? აქ არ არის წყალში მაშველი საზოგადოება? აა, მათი სადარაჯო, დარაჯებიც იქ არიან, მაშველი რეზინის ბუშტებიც აქვთ, ნავებიც ყავთ... არ დაგახრჩობენ, გამოცდილი ხალხია. ყოველმა მოქალაქემ რომ მასეთი ჯიუტობა გამოიჩინოს და არ იბანაოს, მაშინ ხომ გაუქმდა ეს წყალში მაშველი საზოგადოება? ვინ იცის რამდენი კაცი უმუშევრად დარჩება... აღარ გეცოდება? შეგნებული კაცი ხარ; მშენებლობას ხელს უნდა უწყობდე, შენ კი უბრალო საქმისთვის მთელ საზოგადოებებს აუქმებ, უმუშევრობას ხელს უწყობ...—ჩამძახოდა ეშმაკი.

რაღა გაეწყობოდა. ეშმაკმა დამძლია. ავდექი, გავიძრე და ვისკუპე წყალში. წყალში მაშველი დარაჯები იქვე შორი-ახლოს იდგენ და მიცქეროდენ.

ვისკუპე თუ არა (მოგახსენეთ, რომ ცურვა არ ვიცი), მორევმა გამიტაცა და დამატრიალა. მე, როგორც ცურვის უცოდინარი, წარა-მარა ვიქნევდი ხელებს და ვცდილობდი ნაპირისაკენ გამოსვლას, თუმცა უშედეგოთ.

წყალში მაშველი საზოგადოების დარაჯები იდგენ და იღიმებოდენ.

— რა ეშმაკი ვინმეა,—წამოიძახა ერთმა დარაჯმა, ვითომ ხამია და ცურვა არ იცის გვაშინებს...

— გიცნობთ შვილოსა!—მომაძახა მეორემ, შენ გინდა ერთი წყალში გადმოგვახტუნო, მაგრამ ვერ მოგართვით! მოუსვი მხარული, ხომ გატყობთ, რომ ძველი მოცურავი ხარ!..

ამასობაში მე ჩემი მემართებოდა. მორევმა დამძლია და ჩამაყურყმალავა, ძხოლოდ ორი წუთის შემდეგ ამომაგდო ზევით.

— იმკილ! დაიძახა პირველმა დარაჯმა,—ვითომ იხრჩობა არა? ორი წუთი წყალქვეშ გაძლო, ალბათ ძველი მეზღვაურია... ჩვენ კი გვატყვილებს, ვითომ იხრჩობოდეს...

ამ ლაპარაკში მე კიდევ ჩამიძირა, სუნთქვა შემისუსტდა და ნახევარი ვედრა თუ რვა კვარტამდე წყალი ერთბაშათ გადავყლაპე... მდინარის ტალღამ მორევს გამომგლიჯა და გამიტაცა... დარაჯები საკმაოდ შორს იყვენ, როცა ისევ ამოვყავ თავი ზევით.

მაშინ კი იკადრეს... მიხვდენ, რომ ვიხრჩობოდი და დამედევნენ. მორბოდენ, მოცურავდენ, რეზინის ბუშტებს მესროდენ, მაგრამ რის რეზინის ბუშტი, რის ფლავი... მე უკვე ორ ნახევარი ვედრო წყალი მქონდა დალეული. ბუშტის თავი ვის ქონდა... ერთი ნაეხევარი ვედრო კიდევ მივილე და... როგორც იტყვიან, ჩავბარდი პატრონს...

მიიღეთ ჩვენგან გულწრფელი და სხ!!!.

ა, ეს გახლავთ ის წერილი, რომელიც ხელში ჩაგვივარდა რაღაც ბედნიერ შემთხვევის წყალობით.

ამას შემდეგ ჩვენ არაფერი გვეთქმის იმის გარდა, რომ მართლაც საჭიროა მტკვარში ბანაობის, დახრჩობის და საერთოდ დახრჩობასთან დაკავშირებულ საკითხების მოწესრიგება.

ალლა ალლარსან.

# 30% მხოლოდ

ეს იყო სრულებით ჩვეულებრივი სახლი.

თქვენ შეგეძლოთ ათასჯერ ჩაგევლოთ მის წინ და ერთხელაც არ შეგემჩნიათ იგი.

ასეთივე იყვენ ალბად მდგმურებიც.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ მეეზოვეს „მრავალჟამიერი“ ან-და „წინაპრების ხსენება“ გაეგონებიოს ამ სახლიდან.

სახელი თითქოს ისეთი წყნარი და შეუმჩნეველი იყო, როგორც რეგისტრატორი ტრესტის სამმართველოში.

მაგრამ ყველაფერს აქვს ბოლო ამ ქვეყანაზე, თვით რეგისტრატორის მოთმინებასაც კი.

სახლი აჯანყდა.

ერთ მშვენიერ დღეს მთელი ქუჩა გაკვირვებული იყო ამ სახლის ქცევით. იქიდან, რაღაც ყრუ ღმუილი და ყვირილი მოისმოდა. შეიძლებოდა გეფიქრა, თითქოს ქმარი მეუღლეს ჭკუას ასწავლისო და ალბად თვალსაჩინო მეთოდით, რადგან ქალის ღრიალი უფრო ძაღლის ღმუილს გავდა, ვიდრე ქალისას.

ამ შემთხვევაში მაინცდამაინც გასაკვირი არაფერი იყო.

ჩვეულებრივი ოჯახური მოვლენა.

გარდატეხა ძველი ყოფისა დაბადება და დახავსებულ ტრადიციების ულმობელი მტვრევით დამყაყებულ ცხოვრებაში შეჭრა და დამკვიდრება.

მეორე დღეს სახლში თოფმა იჭექა.

საშინელ სიჩუმემ მოიცვა მთელი ქუჩა.

მეეზოვე, რომელიც ეს იყო გატაცებული ქუჩის მორწყვით, რომ უფრო გამვლელების ფეხსაცმელებს რწყავდა, ძაღლისაგან დაფეთებულ კატასავით შეიჭრა ეზოში.

ქუჩა უკვე დარწმუნებული იყო ძველი ყოფის გარდატეხის ფაქტში და ეხლა მეეზოვედან მხოლოდ დაწვრილებითი ცნობებს მოელოდა.

მაგრამ მეეზოვე გამოვიდა ისე მშვიდი და მოღიმარე, როგორც ბუდდა და უსიტყვოდ, სარწყავის მარდი ტრიალით სასწრაფოდ გარეკა მოზღვავებული ხალხი.

ყველამ ერთნაირად გაიგო მეეზოვის ღიმილი.

ცხადია, მეეზოვე გახარებული იყო, რომ ერთი მკვლელობის მოწმე ისიც გახდა.

მეორე დღეს, მეგაზეთე, რომელიც იქვე ქუჩის კუთხეში ვაჭრობდა, ძლივს ჩერდებოდა ერთ ადგილას. ამდენი გაზეთი არასოდეს გაყიდულა. ის უკვე მესამედ ემზადებოდა ექსპედიციაში გასაქცევად.

იგივე განმეორდა შემდეგ დღესაც. მეგაზეთე ლხინობდა, იმ ქუჩაზე მცხოვრებთა ლოდინი კი არ გამართლდა.

არც ერთ გაზეთში ერთი სიტყვაც კი არ იყო დაბეჭდილი ტარხუნას ქუჩაზე მომხდარ მხეცურ მკვლელობის შესახებ. კი მართალია, ვიღაცას ვიღაცასათვის ყელი გამოეჭრა, ვიღაცას თავი ჩამოეხრჩო, ვიღაცას ნაკუწებად ექცია მომმე თვისი და შემდეგ, იაფი ხორცით ძაღლები დაეკმაყოფილებია, და ბევრი სხვა ამგვარი საინტერესო მოვლენები, მაგრამ ყველაფერი ეს სხვა დროს და სხვა ადგილას, და არც ტარხუნას ქუჩაზე.

შემდეგ დღეს მეგაზეთე რეტდასხმულივით იდგა და სხვადასხვა საშინელი აზრები უტრიალებდენ თავში. არ გაყიდულა არც ერთი ცალი გაზეთი. გაზეთებმა დაკარგეს ყოველგვარი ავტორიტეტი.

მეგაზეთე კრიტიკულ მდგომარეობაში იყო.

თუ ის მოიტანს თოკს და ღამე ტელეგრაფის ბოძზე დაეკიდება, გაზეთების გაყიდვის საქმე მაშინ უთუოდ ისევ კარგად წავა, მაგრამ რაღაი მაშინ მეგაზეთეს.

— зверское самоубийство!.. самоубийство!..

დაიწყებენ მაშინ ყვირილს მეგაზეთეები, და ასეთ ფიქრებში გართულ საწყალ მეგაზეთეს თვალებზე ცრემლები ადგება, რომ ტარხუნის ქუჩაზე არ მოიპოვება არც ერთი კაცი, რომელიც საკუთარ ხელით და საკუთარ ფულით შეძენილ თოკით ტელეგრაფის ბოძზე დაეკიდოს.

ვინ იცის, იქნებ მან ასეთ საქციელით გაცილებით უფრო მეტი სარგებლობა მოუტანოს საზოაგდოებას, ვიდრე თავისი უშინაარსო ცხოვრებით.

ასეთი იყო მეგაზეთის აზრები.

ასე ფიქრობდენ ტარხუნას ქუჩის მცხოვრებნიც. უწინ ჩვეულებრივი სახლი, დღეს ამოცანად გარდაიქცა.

მაგრამ ბოლოს ყველაფერი ადვილად გამოირკვა.

ერთ კვირა დილას უცნაურ სახლიდან გამოვიდა ახალგაზრდა თოფით მხარზე და ჩანთით წელზე. წინ კიდევ წყვილი ძაღლი მითმაშობდა.

ეხლა უკვე ცხადი გახდა ყველაფერი, როგორც ტყავ-ტრესტის ფეხსაცმელების უვარგისობა.

საღამოს ახალგაზრდა დაბრუნდა ორი კურდღლით, სამ გარეულ ქათმით, ერთ იხვით და უთვალავ მწყერით.

მეორე კვირას ისე დატვირთული მოვიდა, რომ ძლივს მოადგამდა ფეხებს.

მესამე კვირას უკვე მუშას მოქონდა ნანადირევი, თითონ მონადირე კი ისე წკიპად გამოწყობილი მოდიოდა, თითქოს რუსთაველის პროსპექტზე ენადიროს კურდღლებზე და გარეული იხვებზე.

ზოგიერთებმა ისიც დაინახეს, როგორ მიქონდა ყველა ეს ნანადირევი ღამე მუშას ბაზრისაკენ.

მართლაც და მართლაც, რად უნდოდა ერთ გაღლეტილ კაცს ამდენი ხორცი.

ამის შემდეგ, ყველაფერი წავიდა ისე, როგორც ტრამვაი აბანოებისაკენ, ე. ი. ცოტა შეგვიანებით, მაგრამ მაინც წავიდა.

პირველად ბრძოლის ველზე გამოსვლა გაბედა ერთმა მოანგარიშემ, რომელსაც გარდა ცოლისა, ყავდა ექვსი ქალიშვილი, და გარდა ქალიშვილებისა კიდევ მეორე ცოლი განზე, და კიდევ ერთსაც ალიმენტებს უხდიდა.

თუ როგორ ინახავდა იგი ამდენ ხალხს, ეს მის ამხანაგებმა იცოდენ მხოლოდ, რომლებიც მცდელობდენ გასამრჯელოსთვის ეხმარებოდენ მას ზოგიერთ შესწორებების შეტანაში წიგნებში და ორდერებში.

მან გარდასწყვიტა გამოენახა ახალი საშემოსავლო წყარო და საჩქაროდ შეიძინა თოფი და რამდენიმე ძაღლი.

ერთი თვის შემდეგ ტარხუნას ქუჩაზე მცხოვრებნი ყველა მამაკაცები მონადირეთა კავშირში იყვნენ ჩაწერილი და ყველას ყავდა თითო-ოროლა ძაღლი.

როგორც ყოველთვის, არც თანასწორუფლებიანი ქალები ჩამორჩენ მამაკაცებს და ძაღლების ყოლაში კიდეც გადააჭარბეს მათ.

რამოდენიმე თვის შემდეგ, დაახლოვებითი გამოკვლევით, ტარხუნას ქუჩაზე ირიცხებოდა სულ 569 მამაკაცი და 602 ქალი. ძაღლების რიცხვი კი უდრიდა 2667. (ამ რიცხვში არ შედიან სხვა ქუჩებიდან შემოჭრილი უთავშესაფარო ძაღლები, რომელთა რიცხვი საკმაო რაოდენობას წარმოადგენს).

მეტად საგულისხმიერო რიცხვებია.

საჭიროა, ვისაც ჯერ არს, მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება, და ტარხუნას ქუჩა გამოყოფილ იქნას ცალკე ავტონომიურ ერთეულად; ხოლო მმართველობა გადავიდეს ძაღლების ხელში, რადგან ადამიანთა მოდგმა ამ ქუჩაზე საგრძნობ უმცირესობაშია.

30 პროცენტი მხოლოდ.

**ხინემატო.**

# მილიციელი გზა-ჯვარედინზე

სურ. დონის



ვდგევარ შუა ალაგს, როგორც ბოძი, გზა-ჯვარედინზე
აქ უერთდება ერთმანეთსა ყველა ქუჩები.
აქვე ხვდებიან ერთმანეთსა: ავტო, ტრამვაი,
მოტოციკლეტი, ფაეტონი, კარეტა, დროგი,
ურემი, ვირი, ცხენი, ჯორი,ველოსიპედი.
დიდი, პატარა, ქალი, კაცი და სხვა ჯანდაბა,—
და ყველა ამათ ყუდაროლება საჭიროდ დიდი;
მათი მომვლელი მარტო მე ვარ ამ ჯოჯოხეთში
ათი ათასი თვალი უნდა მქონდეს ირგვლივ:
ამას ვუყვირო... ის დავტუქსო... ეს შევაჩერო.
ჩამომიქროლებს გვერდზე უცბად ავტომობილი;
თავზე მიდგება თმა შიშისაგან ვით ღორს ჯაგარი,—
და რომ გაივლის, ჩუმად გულში ასე ვლოცულობ:
ო, მადლობა ღმერთს,—ცოცხალი ვარ... მგონი გადავრჩი!—
და ამავე დროს ხელით ვსინჯავ ტანს თავ-ფეხამდი;
ვჩურჩულებ გულში:—სისხლი არ მდის,—მაშასადამე:
მე ცოცხალი ვარ.. ყოჩაღ ბიჭო... რა ვაჟკაცი ვარ?!
და როცა ტკბილი ეს ფიქრები მე მათამამებს,—
ამ დროს კვლავ ავტო ვიღაც გიჟის ჩამომიქროლებს..,
მოულოდნელად მე შევკრთები—განზე ვუხტები,
დავეჯახები თავ-მიმტვრევით ან დროგს, ან კედელს,—
და დამაყრიან მწარე სიცილს ყველა იქ მყოფნი...
ათი ათასი თვალი უნდა მქონდეს ირგვლივ.
დიახ! ასთვალა არგუსი ვართ მილიციელნი,
რომლებს გვიხდება დარაჯობა გზა-ჯვარედინზე..
მოქალაქენო, დაიხსომეთ: **„იარეთ მარჯვნივ“**,—
თორემ კისერი ქვაფენილზე რომ მოიტეხოთ,
არ დაგვაბრალოთ მაშინ თქვენი კისრის მოტეხა.

**ჭინჭარი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღლიურიდან

ჩვეულებრივ შევიარე საშუამავლო ბიუროში, ე. ი. შრომის ბირჟაში.

— ამხანაგო, როდის გამგზავნით სამუშაოზე?— თავაზიანად ვკითხე თანამშრომელ ქალს.

მან ალმაცერად გადმომხედა:—როდესაც ადგილი იქნება. სახლში შეგატყობინებთ!

—ძლიერ გმადლობთ... რას ბრძანებთ!.. როგორ შეგაწუხებთ! ვეცდები ხშირ-ხშირად გინახულოთ რომ ჩემი მისამართის ძებნით არ შეგაწუხოთ!—კიდევ ბევრი რამ უნდა დამემატებინა, მაგრამ ხალხმა ყაყანი მორთო.

რა უნდა მექნა. რით დამერწმუნებია, რომ ისინი მეც ხალხათ მიმაჩნია! გამოვედი გარედ. კომმუნარების ბაღში შევედი. ძლიერ ცხელოდა. მომწყურდა. ჯიბეებს რევიზია გაუკეთე. მთელი ჩემი ავლა-დიდება დავათვალიერე. სულ მქონდა 11 კაპეიკი. ეს კი არ იყო სახარბიელო. გვერდით ერთი აყლაყუდა იდგა და გულმოდგინეთ მათვალიერებდა. ფული ხელში დავმუჭე. მილიციელი დავინახე და გავმხნევდი.

— ვერ მოგართვი მოხრაკული!—ნიშნის მოგებით გავიფიქრე და დაუყოვნებლივ გავშორდი სახიფათო ადგილს.

პროსპექტზე რომ ავედი მწყუროდა. ცოტა დიდი ხნის ფიქრების შემდეგ, გადავსწყვიტე: ერთი პონჩიკი შეჭამა და ერთი ჭიქა წყალი დამელია.

ძმათა კაცაიტაძეების საშაქარლამოში პონჩიკი მოვითხოვე; ეს დამიჯდა ერთი შაური. შემდეგ ლაღიძესთან შევიარე. დავიკავე მაგიდა. თეთრებში გამოწყობილ მოსამსახურეს შევეკითხე:

— ჯერ-ჯერობით ერთი ჭიქა წყალი! გადავწყვიტე წყალი ნელ-ნელა მესვა, რომ ამით ჯერ ერთი: წყურვილი მომეკლა და, მეორე: დიდხანს ვყოფილიყავი კაფეში ვინ იცის იქნება რამე სახეირო მოხდეს მეთქი.

მართლაც დიდი ხნის ლოდინი არც კი დამჭირდა.

კაფეში შემოვიდა ჩვენი შალიკო.. რადგანაც ცარიელი მაგიდები აღარ იყო, ჩემთან დაჯდა. მივესალმეთ ერთმანეთს. შალიკომ ერთი ბოთლი ლიმონათი მოითხოვა. ეტყობოდა კარგ გუნებაზე იყო.

— როგორა ხარ?—მკითხა მან.

— არა მიჭირს რა „ედრემტროსმეტორგის“ წარმომადგენლათ ვარ.

შალიკოს გაუკვირდა. ამ უცნაური ტრესტის გაგონებაზე, მაგრამ რადგანაც თავმოყვარე კაცი იყო, აღარ დამეკითხა განმარტებას.

— ააა! მაშ კარგად ყოფილა შენი საქმე!

— შენი ამბავი მითხარი! რას აკეთებ? სად მსახურობ?—შევეკითხე.

— მე სამსახურს თავი გავანებე. ეხლა გოსკინპრომში ვმუშაობ—სცენარიებს ვწერ.

— საინტერესოა: როგორ იწერება სცენარი. ალბად ძნელი საქმე არ უნდა იყოს!

— როგორ თუ ძნელი არ არის? ამეზე უძნელესი არაფერია დედამიწაზე!

მთელი ქვეყანა სცენარიებს სწერს, მაგრამ ათასში ერთს თუ მიიღებენ!—ცხაროზდა და გაბრაზებით ლაპარაკობდა შალიკო.

— დამშვიდდი, შალიკო; კიდევ დალიე რამე და, ამიხსენი: სცენარი როგორ იწერება.

შალიკომ მასწავლა სცენარის წერის ტეხნიკა.

სცენარის დაწერა არც ისე ძნელი ყოფილა, როგორც ეს შალიკოს მიაჩნია. მხოლოდ საჭიროა, რომ სცენარში სიყვარული იყოს, ქალის მოტაცება და ძალმომრეობა; შემდეგ სისხლის ღვრა; ამას რომ შიგა და შიგ ჩაემატოს „რევოლიუციონური რამე“, სცენარი მზად იქნება. შალიკომ გადაიხადა წყალის ფულის და გამომემშვიდობა. მოსამსახურემ ხურდა სამი შაური რომ მოიტანა, შალიკო წასული იყო. ფული, რასაკვირველია, ჯიბეში მე ჩავიდე და გავსწიე... მშვენიერ გუნებაზე დავდექი.

როცა სახლში დავბრუნდი შევუდექი სცენარის წერას. ჯერ გამიძნელდა სათაურის გამოძებნა. ბოლოს ამოვარჩიე: „ქალი ბრჭყალებში“.

აი მოკლეთ ჩემი სცენარი:

## „ქალი ბრჭყალებში“

### ნაწ. 1.

ქალი მოდის პროსპექტზე. სახეზე აღელვება ეტყობა. მოსახვევში მას შეხვდება ვაჟი. ვაჟი შეკრთდება. უნდა რაღაც სთქვას. ამ დროს ავტოთი მოდის მეორე. დაინახავს ქალს, მოეწონება.

— ეს ჩემი უნდა იყოს.

### ნაწ. 2

ქალი და პირველი ვაჟი გაიცნობენ ერთმანეთს. შეუყვარდებათ ერთმანეთი. ვაჟი მსახურობს მოანგარიშეთ. ქალი—მეორე დაწესებულებაში მემანქანეთ. გადასწყვიტენ: როცა ვაჟი „გაბუღალტერდებოდა“ შეუღლდენ მეორე (რომელიც ავტოში იჯდა) გამგეა იმ დაწესებულებაში, სადაც ქალი მსახურობს.

### ნაწ. 3.

გამგე ქალს თავის მდივნად ნიშნავს. ქალი აღტაცებულია. გამგე ყველაფერს სჩადის თავის მიზნის განსახორციელებლად. პატიჟობს: ხან თეატრში, ხან კინოში. ვაჟი ატყობს ცვლილებას ქალისას და იტანჯება. მიაგნებს, თუ როგორ ეარშიყება გამგე.

— საძაგელო, მე დავიცავ მაგას შენ ბრჭყალებიდან.

### ნაწ. 4.

ვაჟი ლებულობს ბუღალტერობას. მაგრამ ქალი თავ ბრუდახვეულია გამგის არშიყობით... თეატრი... ფოქსტროტი... ტორტები. ვაჟი იტანჯება. გადასწყვიტა ქალის დახსნა. ერთხელ ანგარიშების გადაშინჯვაში ვაჟი შეხტება:

— ააა! ჩემ ხელში ხარ.. ყალბი თამასუქები!

### ნაწ. 5.

ვაჟი აგროვებს მასალებს, საიდანაც ირკვევა გამგის ცუღლუტობა. ეკონომიური ჯაშუშიცაა. უნდა გამოაშკარავოს გამგის საქციელი. ამ დროს გამგე ქალს ეპატიჟება ავტოთი საღამოს გასასეირნებლათ. ქალი თანხმდება.

### ნაწ. 6.

ავტოთი მიდიან ქალაქ გარედ. იქ დუქანში გამგეს ყველაფერი მომზადებული აქვს. ვახშამის დროს სცდილობს დაიმორჩილოს ქალი. ეწინააღმდეგება. გამგე ემუქრება.

— ტყუილად მეწინააღმდეგები; შენ ჩემ ხელში ხარ.

### ნაწ. 7.

ვაჟი ააშკარავებს გამგის ბოროტმოქმედებას. მილიციასთან ერთად დაეძებს მას.

ნაცნობისაგან გაიგებს მის და ქალის წასვლას ქალაქ გარედ. მოტოციკლეტით დაედევნება. დუქანში ქალი ებრძვის გამგეს... უკანასკნელი წუთებია... მაგრამ ფანჯარიდან შეხტება ვაჟი.. იწყება ნამდვილი ბრძოლა.

### ნაწ. 8.

ბრძოლა სასტიკია. გამგე თითქმის დამარცხებულია. მაგრამ ასწრობს სუფრიდან დასარტყმელად ბოთლის აღებას. ქალი დაინახავს და ხელზე უკბენს. მილიცია შემოვარდება დუქანში. გამგე დატუსაღებულია. ქალი ეხვევა ვაჟს.

— ჩემო მხსნელო! შენი ვარ თავიდან ფეხებამდე..

აპოთეოზი. ვაჟი და ქალი ჩაეკონებიან ერთმანეთს.

მე გადაწყვეტილი მაქვს ამ სურათის გადაღება ჩავაბარო კოლექტიურად სახკინმრეწვის ყველა კინო რეჟისორებს, თორემ ცალ-ცალკე არავის ვენდობი—სურათს გამიფუჭებენ*).

**ჟორ-ხოშტ.**

---

*) ჩვენ გირჩევთ, რომ მხოლოდ ერთ რეჟისორს გადაალებინოთ ეს თქვენი სცენარი; მაშინ უფრო „ნაკლები ნაკლი“ იქნება (ერთი რეჟისორის ნაკლი), ვიდრე კოლექტიურად დადგმის დროს, როცა თვითეული რეჟისორი თავის წილ „გაფუჭებას“ შეიტანს სურათში.

**ტარტაროზი.**

# უშედეგო რომანი

კოწიას შეუყვარდა ნინა; ელანდებოდა სიზმარში, ცხადათ ჰკლავდა უმისობა.

კოწიამ მისწერა რამდენიმე სიყვარულის წერილი: მათ შორის ასეთი ლექსი:

**გენაცვალე კაკალ გულში,**
**როგორც ყველი ხაჭაპურში;**
**ელვარებ ვით ზაჰესით,**
**მიყვარს შენთან ალერსით.**

მზეს ჯერ წვერი არ ჰქონია ნაკრავი, რომ კოწია ჩქარის ნაბიჯით მიეშურებოდა ნინას ბინისაკენ.

ალექსანდრეს ქუჩაზე ერთ-ერთ სახლში ფრთხილად ჩამორეკა ზარი. პასუხი არ იყო. დაღონდა მეტად. დარეკა კიდევ ზარი. გაიღო კარი და გამოიხედა ნინას დედამ— მატრონემ. კოწიამ სწრაფად მიაძახა:

— იზვინიაიუს, მადამ, ნინა გიორგევნა ზდეს ჟივიოტ?

— ა, ჩტო ვი ხატელი?

— ია ნიჩევო,—უკაცრავად, მე ფოსტალიონი გახლავარ და ნინას სახელზე წერილია ქუთაისიდან!—გახსნა თავისი გახუნებული პორტფელი, გადასცა კონვერტში დაბეჭდილი სატრფიალო ლექსი და ცივად შემოტრიალდა.

ოთხი საათის განმავლობაში იცდიდა კოწია და ელოდა წუთს ნინასთან შეხვედრისა. ნინა კი არსად ჩანდა. დაღონდა კოწია. გადასწყვიტა წასვლა. გამოვიდა კარლ მარქსის ხიდით. ცხელოდა მეტად; იქვე ბაღში ჩამოჯდა გძელ „სკამეიკაზე?. ფიქრობდა ნინაზე და არ იცოდა რა ექნა.

იმედ დაკარგული. უცებ გადასჭრა რუსთველის პროსპექტი და ჩამოჯდა „სკამეიკაზე“ ბორჯომის წყლის მთავარ კანტორის წინ.

ცოტა კიდევ და გამოჩნდა ნინა გიორგევნაც. იგი ვილაცას დაემშვიდობა და შემოტრიალდა. გაუარა კოწიას ისე, რომ არც კი შეუმჩნევია იგი. კოწია დამფრთხალივით წამოიჭრა; წამოეწია ნინას, შეაჩერა იგი და დაუწყო საუბარი სიყვარულის შესახებ.

— რითი შეგიძლიათ, რომ დაგვიმტკიცოთ სიყვარული? —შეეკითხა ნინა კოწიას.

— რითი? რითითაც გნებავს! თვით სიცოცხლესაც კი გავსწირავ თქვენთვის; თავს დავდებ, გეფიცებით ყველაფერს,რომ მე უთქვენოთ ერთ წუთსაც არ ვიცოცხლებ!

— კი მაგრამ შეგიძლიათ, რომ შეასრულოთ ჩემი სურვილები—ჩამაცვათ, დამხუროთ, თეატრი-კლუბი და სხვა გასართობები არ მომაკლოთ?... ეხლა კი დიდი სიცხეები დაიჭირა, და შეგიძლიათ თუ არა აგარაკზე გამაგზავნოთ?

— თქვენ დაგენაცვლოს მთელი ჩემი სიცოცხლე და ქონება. მე ხომ მოლარე ვარ! ჯამაგირი კაი მაქვს და გამოსარჩენიც. თქვენ კი გენაცვალოს თქვენგნით დამწვარი კოწია.

— ხომ გიყვარვართ, ჯერ დამიმტკიცეთ და... ცბიერად გადახედა ნინომ კოწიას და ტუჩებზე ღიმილი აუთამაშდა.

— რა უნდა დაგიმტკიცოთ?

— რა და, რომ სიცოცხლესაც კი გასწირავთ ჩემი გულისათვის.

— დღესვე; აი ამ წუთში; თუ გნებავთ აი ამ ადიდებულ მტკვარში გადავარდები, სულიკოჯან!

— მერე ხომ დაიღუპებით?

მტკვარზე იდგა დამხმარე ნავი. კოწიამ იფიქრა: მოდი გადავხტები; ამდენი მოცურავეები არიან, ნავიც გამზადებულია აგერ კიდევ რეზინის რგოლია და რა ღმერთი გაუწყრებათ, რომ არ გადამარჩენენო. ეს ნამდვილი სიყვარულის დამტკიცება იქნება, ნინაც აქვეა და უთუოდ მივაღწევ ჩემს მიზანსო. გადიწერა სამჯერ პირჯვარი და გადაეშვა მტკვარში. მოგროვდა ხალხი. ნინას ელდა ეცა; ვიღაცამ მოაგლიჯა ხიდის მოაჯირს რეზინის რგოლი და ესროლა. დატრიალდენ მცურავებიც. მენავემ შეაცურა შუა მტკვარში. რამოდენიმე წუთი და თაგვივით გაწკუმპლული კოწია ნაპირზე გამოიყვანეს.

მეორე საღამოს შეხვდენ კოწია და ნინა ერთმანეთს რუსთაველის პროსპექტზე.

— ხომ დაგიმტკიცე სიყვარული? შეკითხა ნახევრად თითქოს მიზანმიღწეული კოწია.

— როგორ?

— შენ რომ სიყვარულის დამტკიცება გდომოდა და ჩემთვის თავის გაწირვა, ეგრე საჯაროთ კი არ გადახტებოდი მტკვარში და ისიც ვერის ხიდიდან, სადაც აუარებელი მცურავები იყო, და მაშველი ნავი და რეზინის რგოლი,—არამედ ღამით გადავარდებოდი მტკვარში და ისიც მეტეხის ხიდიდან, სადაც დიდი მორევია. ასე, რომ მოქცეულიყავი, ეს იქნებოდა ნამდვილი სიყვარულის დამტკიცება!

კოწია სახტად დარჩა. ჩაუარა თითქოს ფიქრებმა. მაშ ასე, არ გიყვარვარ ხომ?

— უკაცრავად! საცაა ჩემი ქმარი გამოივლის და თუ ერთად შეგვხვდა, მაშინ ეგ შენი რომანი და ეგ შენი სიყვარულის დამტკიცება, უფრო ტრაღიკულად დამთავრდება... მშვიდობით ბრძანდებოდეთ!—უთხრა ნინამ, სწრაფად შეტრიალდა და ჩქარი ნაბიჯით გასწია შინისაკენ. კოწია ხახა მშრალი და კუდ ამოძუებული იდგა და იმეორებდა უაზროდ:

**ნინა, ნინა, ჩემო ნინაო**
**რად მომიკალი გულიო,**
**მტკვარში ჩავარდი, ვიხრჩობოდი,**
**ხომ გახსოვს შენთვის თავსაო.**

ოდილნადი.

---

ამხ. ატრიევი, რა საგანზედაც არ უნდა იყოს ლაპარაკი, იგი მაინც ლაპარაკობს თამბაქოს და ლოთობის შესახებ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სურ. დონის



**კუზიანი:** ამხანაგებო, ეს ღმერთმა გაუმარჯოს ჩვენს ვაჟკაცობას... ჩვენს შეხედულებას.. ჩვენს...,
**მიკიტანი:** აი იცოცხლე!.. თუ კიდევ ჩამოდგამ კვარტებს, მაშინ მგონი იქნებ მართლაც ვაჟკაცი გახდე.

# გიორგი გრძელოსანი

## თავი პირველი

იყო წყალტუბოს გიორგი, კაცი სამარშიანინაი,
გრძელი, ვაჟკაცი, გულადი, ფხიზელი, ფოლადიანი;
შეძლებული და მომჭირნე, დარბაისელი, ჭკვიანი;
აზნაურისა წოდების, მშვიდი და ზრდილობიანი.

—:—

რა ყმები მას ჩამოერთვა ბედი ხვდა დოვლათიანი:
გაუჩნდა აბანოები თბილი და ტალახიანი;
ტყე მოსპო—მინდვრათ აქცია ადგილი ნარ-ეკლიანი:
იქვე ააგო, მოაწყო სახლები სართულიანი

—:—

ხალხმა შეიტყო წყალტუბო როს გახდა მარგებლიანი;
ყოველ წელიწადს მოდიან დავარდნილ-ქარებიანი;
გიორგი ბოჭავს აბაზებს, ქისა აქვს არშინიანი;
ან საყვედური რათ ეთქმის,—დახლი აქვს ბარაქიანი.
სიმდიდრით ყველას აჯობა, ვინც იყო იოსელიანი;
ქუთაისშიაც ააგო სახლი ორსართულიანი;
ყარაბანდულათ შარვალი, აბრეშუმ ხვანჯარიანი.
შალისა ჩოხა გაიძრო, ჩაიცვა მაუდიანი,

—:—

## თავი მეორე

უნდობი არის საწუთრო—მოგვითხრობს გურამიანი;
დღეს რომა ლხინი მოგაგოს, ხვალ კი შეგხვდება ზიანი;
გიორგის აღარ დაუდგა დარი ყოველთვის მზიანი
დაემხო მისი სალარო და დახლიც მრავალზიანი.

—:—

სოციალიზმის დრო დადგა, იმისთვის ზარალიანი;
მას ჩამოართვეს ქონება, მამული ძვირფასიანი.
მუქთად წაიღეს აბანოც, მორთული, ვანებიანი;
არ შეიბრალეს გიორგი, დასტოვეს თვალცრემლიანი.

—:—

მას არგეს ერთი ოთახი ბინად ხუთ-არშინიანი,
და ნება მისცეს თბილ წყალში იკურნოს ქარებიანი;
ამისთვის ფულებს არ სთხოვენ, არ გახდეს ვალებიანი;
უთხრეს: რომ ისიც იკმარე, რაც იყავ ფარებიანი.
ავადმყოფობამ გასტეხა, დღეს მოხუცია, ჭაღარა;
დალონდა, ფიქრმა მამულზე იმისა სახე დაღარა;
დღეს ქისა აღარ სჭირდება,—(ჯიბეშიც ფული აღარა);
ჯოხებით დადის მოხრილი, აღარ უვარგა ნაღარა.

—:—

## თავი მესამე

ხანადახან მიდის წყალტუბოს, დასტირის სახლებს, აბანოს;
იგონებს ძველ დროს, სიმდიდრეს და ბარაქიან სალა-
როს;
შორიდან მოსულთ შესტირის: ზურაბას, ბესოს, ხან
მაროს;
მაგრამ მის გულის ჭრილობებს ვერავინ ადებს მალამოს.

—:—

ოჯახს დაუქცევს კოწიას, და შეუკურთხებს შამშესა;
უწოდებს იმათ: ყაჩაღებს, ქვეყნის ამომგდებთ, მძარ-
ცველსა,
თვალებს მიაპყრობს მაღლა ცას და თან ააშვერს ხე-
ლებსა,
მენშევიკ-ბოლშევიკებსა დასწყევლის, შეაჩვენებსა:

—:—

„უფალო, ჩემო გამჩენო, გთხოვ შემისმინო ვედრება,
„თუ გსურს აგინთო სანთელი, აღარ დაგიწყო ყიდრება:
„ისე ნუ მომკლავ,—მომასწარ ორივეს გადაშენება,
„მერე არ მინდა სიცოცხლე, ნურცა ცხონება მერგება“.

ქიტეს-ოლლი.

# ტარტაროზი

## ბალდადი (ოზურგეთის მაზრა)

ამ ჩვენს სოფელში გამრავლდენ
ქურდები და ბაცაცები...
(და მერე ვინ კადრულობენ!—
ცოლშვილიანი კაცები).
გულმოსულ ხალხის მუქარამ
ისინი ვერ შეაშინა.
ზოგმა იქურდა სიმინდი
და ზოგმაც ხელის მაშინა.
აღელდა ხალხი და კრება
შესდგა ბალდადის მთელისა.
ხალხი იძახის:—ცხადია:
თ მათ შემწყობი ხელისა!..
მაშინის ქურდი დაჭფარა
პირველმა კომისიამა:
მაგრამ პანღური ამოჰკრეს,—
და ეს კი აღარ იამა.
მეორე კომისიამ კი
ქურდებს ჩაავლო ხელია...
შუბლის მაგიერ კბილებში
გამოსდის ოფლი ცხელია...
და სასამართლო მოვიდა,
ხელში ეჭირა ქუდია.
მის წინა წარსდგა ორივე:
დამკარგველი და ქურდია.
—აბა, შერიგდით ორივემ,
დაჰკარით ხელი-ხელსაო.
მაშინა აუცილებლად
ეკუთვნის დამკარგველსაო.
ეს სთქვა მსაჯულმა და წამსვე
თავს დაიხურა ქუდია,—
და დაუსჯელად დასტოვა
სოფლის ბაცაცა, ქურდია.
ხალხს უკვირს. ამბობს:—ეს ნეტა
როგორი სასამართლოა?!.
მაშ ქურდებისთვის ყოფილა
ჩიინა ახალი ნალია!?

ახლობელი.

## სამტრედია

ერთხელ მხოლოდ სასიამო
**ოთხის** ვნახე კრება!
და ვფიცავარ მათი ნახვა
ახლაც მეძაგება.
შუაში იჯდა „დიდი" **კოსტა**,
ჩვენი ძმა და ბიჭი!
მარჯვნივ ბინა დაეჭირა
**მდივანს** თავის ნიჭით.
და ცრემლები ქალწულივით
სდიოდა ჩვენს **მიხას!**
გაჩვეული, მიჩვეული:
გახრას, შეხრას, მიხრას.
ვით მარსი, ვით ივნისი,
ვით დილისა ცვარი,—
„საიდუმლოს" იქ ამკობდა,
**გუგუ** და **თამარი**.
ბაღივითა ტურფა ქალებს,
რომელთაც მზე ფარავს,
რაღაც ფიქრი აწუხებდა...
იძახოდენ: **ჩქარა.**
და შეიქნა „კრებობია"—
ხმები წვდება ზეცას!
**გუგულია** შეგვიწუხდა—
მიხა ჩაიკეცა.
და წამოდგა ერთი ვინმე—
**(კოსტად წოდებული).**
რქვა საწყალმა: „ამდენ თმენით
გაიბზარა გული.
ჩვენ ორივე ერთ ბედქვეშ ვართ,
როგორც დედის ერთა!
ან ცხოვრება, ან სიცოცხლე,
ანდა მოკვდეთ ერთად".
და გაისმა ირგვლივ ვაშა
და მქუხარე ტაში!
**მიხა ცეკვავს და თამარი**
მას მხარს უყრის მხარში.
**გუგუ ამბობს:**—ჩემო **კოსტა**
დაამთავრე ჩქარა!
გული მტკივა, სული მიწუხს
და ცრემლები მიდის ღვარად.
**კოსტა** ასე უპასუხებს:
„დამაცალე ცოტა!
თქვენ გგონიათ, თქვენზე ნაკლებ
იტანჯება **კოსტა?!**
ყური მიგდეთ კოლეგებო,
საკითხი დგას მძიმედ!
აღარ გვწყალობს ეს ზაფხული
და დღე მოციმციმე.
**ჭანგელ ბზიკი** მოგვეჩვია,
ვით საქათმეს მელა!
ორჯერ ჟურნალ **„ტარტაროზ"**-ში
ჩაგვაკერა ყველა...
და ვინ იცის ის ოხერი
კიდევ აღარ ჩაგვწერს!?
**ორმოც ათას** მკითხველებში
ჩვენ ცოდვები გვაწევს.
დავადგინოთ: გაუგზავნოთ
**რედაქციას** ცნობა!
ჩვენ შესახებ დაწერილი
არ მიიღოს ნდობათ.
მოაშოროს სამტრედიას
ეს **ჭანგელი ბზიკი!**
უნამუსო, არ გამტანი,
რომ სცლის ღვინოს ტიკით.
და ბრალდება შევთხზათ ისე,
როგორც გვენებება!—
აქ თქმას ველარ დავამთავრებ
და თმა ყალყზე დგება".
ამის შემდეგ აღარ ვიცით,
„საიდუმლო" მათი!
დაიშალენ. იქნებოდა
ეს, ცხრა **საათი...**

**ჭანგელი ბზიკი.**

სურ. რევაზის.



**სიდედრი:** შენ კი არ გეგონოს—ორპირა დედაკაცი ვიყო?

**სიძე:** ღმერთმა დამიფაროს!.. შენი ერთი პირიდან გავთავდი კაცი, და ორპირა რომ იყო, ხომ მთლად დავიღუპებოდი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა




## „რეჟიმ-ეკონომია“

ჩვენ ვეთანხმებით გოგია მეჩონგურეს... უკაცრავათ, გოგია მეჩონგურეს კი არა,—ტფილისის მთავარ სახელოსნოს გამგეს, რომ რეჟიმ-ეკონომიის თვალთახედვით კარგ დარში შენობებზე სახურავი არ არის საჭირო. ეს მართალიც არის... და, ალბად, ამიტომ არის, რომ „ტფილისის მთავარ სახელოსნოს სამჭედლოს საამქროში წვიმა ისე ჩამოდის, როგორც მინდვრათ. და, ვინაიდან დამპალ სახურავის გამოცვლას არ ფიქრობენ (ალბად რეჟიმ-ეკონომიას „იცავენ“),—ამიტომ ნავები და ქოლგები მაინც გვიყიდონ მუშებს, რომ ავდარში მუშაობა შევსძლოთ“.



მოთხოვნილება სამართლიანია. ვნახოთ როგორ და რამდენ ხანში დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას სალიანდაგო სამსახურის მე-6-ე უბნის სახლების ზედამხედველი!

## უმძიმესი პორტფელი

რისი რეკორდი და შეჯიბრება არ ხდება დღეს როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში! ფოთიდან ვ. დაჩაგრული (ალბად ამ პორტფელით თუ არის დაჩაგრული) გვატყობინებს, რომ ფოთის შრომის ინსპექტორს პაიჭაძეს ჰქონებია ისეთი დიდი და მძიმე პორტფელი, რომ კურტნის მუშას ძლივს შიაქვს იგი.



— რა მიგაქვს, რომ სიმძიმისაგან ასე გწყდება წელი და ოფლში იწურები!

— პაი... ჭა... ძის პორ..., ტფე... ლი...

რა თქმა უნდა,—რომ მოხდებოდეს მსოფლიოს შეჯიბრება უმძიმეს პორტფელებზე,—პრიზს პაიჭაძე აიღებდა.

## „იერიქონის საყვირი“

რადიუმი სამ სახელწოდებას იძლევა ტფილისის საქონლის სადგურის უფროსისათვის: 1. „იონა მრისხანე“; 2. „იერიქონის საყვირი“ და 3. „მყვირალა გუდოკი“ (საყვირი). ამ სამ სახელწოდებაში ტარტაროზმა ამოირჩია მეორე: „იერიქონის საყვირი“. არჩევანის დროს ხელმძღვანელობდა შემდეგი მოსაზრებით:

აკი რადიუმი ამბობს: „იგი ყოველთვის უყვირის ტყუილ-უბრალოდ მუშა-მოსამსახურეთ“... მაშასადამე: იონა კანდელაკს ახასიათებს ძველებური ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული თვისება. იერიქონის საყვირიც ძველებურია... ამიტომაც მისთვის შესაფერისია უკანასკნელი სახელწოდება. ეს არის ტარტაროზის არჩევანი; თქვენ შეგიძლიათ სხვა ამოირჩიოთ; ის კი არა,—შეგიძლიათ სამივე დაუძახოთ,—სამივე სახელწოდება მისი საკუთრებაა.

ბოლოს ერთს რამეს კიდევ დავუმატებთ:

„ხშირად ხდება, რომ საყუდების და სახელოსნოების საყვირი და იონას ყვირილი ერთსა და იმავე დროს არის. მაგრამ იონას ყვირილი ისე ძლიერია, რომ მაშინ აღარ ისმის საყუდის ყვირილი“.

ტარტაროზს უნდოდა იონასათვის თავისი ჩანგალი შემოეკრა, მაგრამ (სიფრთხილეს თავი არ სტკივა) შეეშინდა:—ვაი თუ ჩანგლის შემოკრისას კიდევ უფრო ძლიერად დაიყვიროს და კატასტროფა მოახდინოს ახლო-მახლო შენობების დანგრევით.

ხშირად, როცა იონა ყვირის, ზოგი გაუგებრობაში მოდის და ჰგონია რკინის გზის საყვირი:



— ნეტა, რა ამბავია, რომ ასე უდროოთ საყვირი მისცეს!?!

— დარდიც ნუ გაქვს! ეს რკინის გზის საყვირი კი არ არის,—არამედ, ალბად იონა კანდელაკი ჰყვირის საქონლის სადგურში.

მზადდება „ტარტაროზი“-ს
სპეციალური
საკურორტო ნომერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობათა მიღება



**„ბოროტ ენებს“** (ქუთაისი): თქვენი განძრახვა კარგია; ხოლო ეს პირველი ნიმუში მეტად წვრილმანია.

**„რიონელს“**: თქვენი წერილი: „ჩემს შუშანას“, რომელიც თურმე მოწონებული ყოფილა სხვის მიერ, გავუგზავნეთ თქვენს შუშანას, ხოლო ჩვენ დავიტოვეთ ერთი კუპლეტი:

**თურმე ჩამძინებოდა,**
**ხვრინვაც კი ამომეშვა.**
**ყვინთაობა დამეწყო,**
**თავი კედელს შემოვკარ.**

გაგვაგებინეთ—ხომ არ დაზარალებულა თქვენი თავი? (მერე-და რა თავი!?!).

**დევნილ სიძეს** (სუფსა): თუ მართლაც: კირილე და ნოე ჩხაიძეებმა ისე დააპატარავეს ქუჩა მიწის თავის ეზოში ჩალობვით, რომ მიწის კომისიას (თუ უფრო სწორათ: სამიწე კომისიას) აღარ შეუძლია ქუჩაში გარება, რომ ეს საქმე გამოირკვიოს და შარა-გზა ისევე გააგანიეროს, როგორც უწინ იყო.

**ვა-ვას** (ნნინოშვილის თემი): თქვენი:

**„ნინოს ფოტოგრაფია“**
**არის პორნოგრაფია.**

**ხიჩი კვალიას** (ქუთაისი): წერილი ეხება სხვის ოჯახურ ცხოვრების ჩვეულებრივ მოვლენას და ამიტომ არ არის საინტერესო (არც მიზანშეწონილი). განა ეხლა სადმე მოიპოვება ისეთი ცოლი, რომ ქმარზე არ ექვიანებდეს? (ცოლი კი არა, ქმარიც იშვიათია).

**ბახარბალას** (ვანი): წვრილმანია.

**ნაკიდონებს:** ჩვენ კი პირიქით ვიტყოდით: „ნე იმეი სტო დრუზეი, ა იმეი სტო რუბლეი“ (ვინ არის ეხლა ისეთი გულუბრყვილო, რომ ას მანეთს ამჯობინებს ას მეგობარს!? არავინ).

——ბოლოს ასე თავდება თქვენი წერილი: **„...და გამოუშვი ეს წერილი შენს „ტარტაროზში“. თუ ჩემი თავი ნამეტანი დაგჭირდეს, მე გახლავარ შომპლეს...“** აღარ გვჭირია.

**ვარდიაშვილს:** როგორც თქვენს ცოლს ახასიათებთ,—მაშინ სჯობია გაათხოვოთ იგი. სხვა უკეთესი საშუალება არ არის (ისიც კარგია, რომ ქორწილზე იქეიფებთ და ცოლს მაყრად გაჰყვებით).

**ბლელს:** ხელმოუწერელ წერილს რედაქცია არ განიხილავს. მარტო ფსევდონიმი არ კმარა.

**აჯიბაბას.** (ბათომი): ხომ გაგიგონიათ:—**თავის ქება ყიტრად,—კიტრი ვაპიკათო.** (თუმცალა კიტრი ეხლა შაური ღირს თბილისში, ასე რომ შაურიანი თავის-ქებაა).

**„ორი ძმანნი“-ს** (აბაშა): თქვენ სხვებს დასცინით პოეტობას და თვითონ კი ასე გრძელ „ლექსს“ სწერთ. მაგრამ გასტროლიორ პოეტების საპატიოსაცემოთ მაინც ვათავსებთ ერთ კუპლეტს:

**ჩარკვიანი გამობრძანდა**
**ფარდის წინა სცენაზეო;**
**ვალახულსა მელას ჰგავდ**
**ეტყობოდა სინაზეო.**

პირველი სათაური, რომელიც თქვენ წაგიშლიათ, ნამდვილი შესაფერისი როგორც მათთვის, ისე თქვენს წერილისათვისაც.

**ტარტაროზის ნათლიას:** გაუგზავნეთ ხელოვნების განყოფილების სარეპერტუარო კომისიას, და თუ მოიწონებს,—ალბად მიიღებენ.

**იახშის** (ქუთაისი): „ეგნატე ინგოროყვას“ სახელობის სამკითხველო საარშიყო ადგილია თუ სამკითხველო? —-გვეკითხებით თქვენ. შეეკითხეთ მიშა გურგენიძეს. თუ ამიერიდანაც იგი ვერ დაინახავს განსხვავებას ამ ორს შორის, მაშინ... (მაგრამ წინდაწინვე არ გავუმხელთ სასჯელს).

**ახალ ჭვანგს** (სოფ. ორაგვე. ოზურგეთის მაზრა): თუ თქვენ ძალიან გაწუხებს თქვენი სამკითხველოს თაგვის ჯანმრთელობის მდგომარეობა,—გაგზავნეთ მისი (სამკითხველოს) გამგე მომვლელად.

**წრიპ. წრიპ. წრიპ. წრიპ. ვიძახი**
**მე საწყალი თაგუნა;**
**ჭლექს გამიჩენს ეს მტვერი,—**
**ბედმა ასე მარგუნა.**

რომ თაგვს ჭლექი არ გაუჩნდეს, საჭიროა დაასუფთაოთ და გაწმიდოთ ყოველივე ნაგვისაგან (ე. ი. გამგისგანაც) სამკითხველო.



მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ამ თაგვს ჭლექი უკვე გაჩენილი აქვს, რაც სჩანს მის თქვენს მიერ გამოგზავნილ სურათზე, რომელსაც, თანახმად თქვენი თხოვნისა, აქვე ვათავსებთ.

**შაირიანს** (სამხ. კომ. სტამბა): თქვენ გვწერთ რომ:

**...გამოსცვალეს ადგილკომი..:**
**და დანიშნეს მდივნად სერგო**
**პირველსავით არც ამასაც**
**ჩვენი ფული არ შეერგო.**
**წელზე შეხსნეს და გასინჯეს**
**აღმოაჩნდა ფონდის ფული...**
**გამგეობას გაუკვირდა,—**
**და სერგოს კი უცემს გული**

ალბათ კარგ დროზე მოუსწრიათ, თორემ ხელიდან ფული მუცელში გადაიმალებოდა (მანძილი იმათ შუა მოკლეა).

**„ის ვარს“** (ფოთი): თქვენი „წითელი მორიელი“—**სატირა** ალბად წარმოსდგება **სატირალიდან**; ეს იქედან სჩანს, რომ, მართლაც, „სატირალი“ ყოფილა თქვენი მდგომარეობა. თუ კი შრომის ბირჟის მაგიერობას ეწევა, მაშინ არა უშავს.

**შერჩეულებულს:** თქვენი გურული სცენა: **„შინ კაკაბანებს—სხვისას კვერცხს სდებს“** კვერცხის დასადებად გოდორში მოვათავსეთ. აბა ვნახოთ იქ როგორ იკაკანებს.

# ჯერ კიდევ შეიძლება

სურ. დონისა



— მიშველეთ.., გზა მომეცით...
— რა ამბავია?.. რა დაგემართა?
— „ტარტაროზი"-ს გამოწერა დამავიწყდა ივლისში და უნდა გამოვიწერო... გზა მომეცით!..

ალმასკომის 1-ლი სტამბა, კამოს ქ. № 68.